საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარსქენ პიტიახში

ვარსქენ პიტიახში, არშუშას ძე, ქვემო ქართლის მმართველი V ს. 60–80-იან წლებში. ქართლის ცენტრ. ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი, აღმავალი ფეოდ. ძალების ერთ-ერთი მეთაური იყო. ცდილობდა გამოეყენებინა გარეშე ძალაც – დამპყრობელი ირანელები. ამ მიზნით მიიღო ირანში სახელმწ. სარწმუნოებად აღიარებული მაზდეანობა. ამიტომ ვახტანგ I გორგასალმა ირანის წინააღმდეგ აჯანყება იმით დაიწყო, რომ ვ. პ. (482) მოაკვლევინა. ვ. პ. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია.

წყარო და *ლიტ.*: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ლ.-ნ. ჯანაშია